

ქართული ენა და ლიტერატურა

ნიმუშები

VI კლასი

1. რომელ წინადადებაში არის შეცდომა:

- ა) ამ მხარეში ზოგიერთი ფრინველები არ ეგულებოდა.
- ბ) სხდომაზე მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა.
- გ) მეცნიერი არაერთი საინტერესო წიგნის ავტორია.
- დ) მისი ნახატები ევროპის რამდენიმე მუზეუმმა შეიძინა.

2. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ჩარლი ჩაპლინის წიგნიდან „წერილი ჯერალდინას“:

„ჩემო გოგონა, ეს გახსოვდეს: ჩარლი ჩაპლინის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან მდინარის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისათვის დაეცინა“.

საკუთარ ოჯახზე საუბრით რას ასწავლის მამა შვილს?

- ა) იყოს განათლებული.
- ბ) იყოს კაცთმოყვარე.
- გ) იყოს მიზანსწრაფული.
- დ) იყოს წარმატებული.

VIII კლასი

1. შეარჩიეთ სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია მოცემულ წინადადებაში:

ბუმბულს სანამ ქარი არ დაუბერავს, ... თავი მძიმე ჰგონიაო (ანდაზა).

- ა) თავიანთი.
- ბ) თავისი.
- გ) მათი.
- დ) მისი.

2. გაიხსენეთ რევან ინანიშვილის მოთხრობა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.

რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

- ა) ტირანული სახელმწიფო აბუჩად იგდებს ტრადიციებს.
- ბ) ტირანული სახელმწიფო ანადგურებს უდანაშაულო ადამიანს.
- გ) ტირანული სახელმწიფო იცავს დამნაშავეთა შვილებს.
- დ) ტირანული სახელმწიფო მხოლოდ დამნაშავეებს სჯის.

IX კლასი

1. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, უსათუოდ დაისჯებოდა.
- ბ) ის, ვინც მას ერთხელ ნახავდა, ვერასოდეს დაივიწყებდა.
- გ) მხოლოდ ახლა დააფასა ის კაცი, ვინც ასე ერთგული იყო.
- დ) ხალხსაც ის უნდა, ვინც ნიჭიერ ადამიანს გზას გაუხსნის.

2. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

რომელ ფრაზაშია გადმოცემული ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც ქვეყნის გაპარტახება გამოიწვია?

- ა) „აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა“.
- ბ) „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!“
- გ) „ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია“.
- დ) „წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკულმა შექმნა ტრიალი“.

X კლასი

1. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება გული შესტკივა?

- ა) უკმაყოფილოა, გულნაკლულია.
- ბ) თანაგრძნობას უწევს.
- გ) უძლეველია, გულადია.
- დ) წინათგრძნობა აქვს.

2. წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფე ფინეზთან საუბრის დროს უფლისწული ჯუმბერი ამბობს: „არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია“.

რას ნიშნავს ჯუმბერის ნათქვამი?

- ა) სიღარიბე ცუდია, მაგრამ უარესია, თუ სიმდიდრე გაქვს და არ იყენებ.
- ბ) სიმდიდრე ცუდია, მაგრამ უარესია, თუ ღარიბი ხარ და არ შრომობ.
- გ) სიღარიბე ცუდია, მაგრამ უარესია სიმდიდრე, რადგან ადამიანს რყენის.
- დ) სიმდიდრე ცუდია, მაგრამ უარესია სიღარიბე, რადგან დანაშაულისაკენ გიბიძგებს.

XI კლასი

1. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:

გუშინ შემომჩვილა, ერთ წელიწადში აგერ იმ ცხვარივით გავსუქდიო.

- ა) კავშირი.
- ბ) ნაცვალსახელი.
- გ) ნაწილაკი.
- დ) შორისდებული.

2. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“.

ავტორის თქმით, რომელი ფაქტით გამოწვეული ემოცია იქცა ამ ლექსის დაწერის საბაზად?

- ა) ბიძის, ილია ორბელიანის, დატყვევება.
- ბ) ბიძის, გრიგოლ ორბელიანის, დამარცხება.
- გ) კავკასიის ომში ქართველ მეომართა დახოცვა.
- დ) ლეკთა მიერ კახეთიდან ბავშვების გატაცება.

სწორი პასუხები:

VI კლასი: 1. ----- ა)
2. ----- ბ)

VIII კლასი: 1. ----- ბ)
2. ----- ბ)

IX კლასი: 1. ----- გ)
2. ----- გ)

X კლასი: 1. ----- ბ)
2. ----- ა)

XI კლასი: 1. ----- გ)
2. ----- ა)